

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №22
2022 წლის 28 ოქტომბერი

ქ. დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„დუშეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №27 დადგენილებაში (matsne.gov.ge სსმ.27/12/2021; ს/კ 190020020.35.152.016439) შეტანილ იქნას ცვლილება. კერძოდ, დადგენილების დანართის სახით დამტკიცებული დუშეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

კახაბერ ჩიტაური

დანართი

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი თავი I

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი		2021 წლის ფაქტი		2022 წლის გეგმა		
	სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	23,216.4	20,671.0	8,120.7	12,550.3	27,275.9	12,359.8	14,916.1
გადასახადები	8,240.4	10,380.9	0.0	10,380.9	13,125.0	0.0	13,125.0
გრანტები	13,428.8	8,425.6	7,879.5	546.1	12,496.8	12,278.8	218.0
სხვა შემოსავლები	1,547.2	1,864.5	241.2	1,623.3	1,654.1	81.0	1,573.1
ხარჯები	7,735.2	9,150.4	383.2	8,767.2	14,943.7	1,155.2	13,788.5



შრომის ანაზღაურება	1,777.4	1,718.5	0.0	1,718.5	3,095.2	0.0	3,095.2
საქონელი და მომსახურება	1,616.6	2,475.0	383.0	2,092.0	4,051.2	734.3	3,316.9
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	38.7	31.0	0.0	31.0	29.6	0.0	29.6
სუბსიდიები	3,481.0	4,027.6	0.0	4,027.6	6,011.3	0.0	6,011.3
გრანტები	38.9	35.0	0.0	35.0	35.0	0.0	35.0
სოციალური უზრუნველყოფა	536.4	634.3	0.0	634.3	793.6	0.0	793.6
სხვა ხარჯები	246.2	229.0	0.2	228.8	927.8	420.9	506.9
საოპერაციო სალდო	15,481.2	11,520.6	7,737.5	3,783.1	12,332.2	11,204.6	1,127.6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	13,354.0	10,387.3	8,928.0	1,459.3	20,167.6	14,176.3	5,991.3
ზრდა	13,767.2	11,005.2	8,928.0	2,077.2	22,945.7	14,176.3	8,769.4
კლება	413.2	617.9	0.0	617.9	2,778.1	0.0	2,778.1
მთლიანი სალდო	2,127.2	1,133.3	-1,190.5	2,323.8	-7,835.4	-2,971.7	-4,863.7
ფინანსური აქტივების ცვლილება	2,067.3	1,073.4	-1,190.5	2,263.9	-7,895.3	-2,971.7	-4,923.6
ზრდა	2,067.3	2,321.3	0.0	2,321.3	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	2,067.3	2,321.3		2,321.3	0.0		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	1,247.9	1,190.5	57.4	7,895.3	2,971.7	4,923.6
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	1,190.5	1,190.5		7,895.3	2,971.7	4,923.6
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	57.4	0.0	57.4	0.0	0.0	0.0



სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-59.9	-59.9	0.0	-59.9	-59.9	0.0	-59.9
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	59.9	59.9	0.0	59.9	59.9	0.0	59.9
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	59.9	59.9	0.0	59.9	59.9	0.0	59.9
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	23,629.6	21,346.3	8,120.7	13,225.6	30,054.0	12,359.8	17,694.2
შემოსავლები	23,216.4	20,671.0	8,120.7	12,550.3	27,275.9	12,359.8	14,916.1
არაფინანსური აქტივების კლება	413.2	617.9	0.0	617.9	2,778.1	0.0	2,778.1
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0.0	57.4	0.0	57.4	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	21,562.3	20,215.5	9,311.2	10,904.3	37,949.3	15,331.5	22,617.8
ხარჯები	7,735.2	9,150.4	383.2	8,767.2	14,943.7	1,155.2	13,788.5
შრომის ანაზღაურება	1,777.4	1,718.5	0.0	1,718.5	3,095.2	0.0	3,095.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	13,767.2	11,005.2	8,928.0	2,077.2	22,945.7	14,176.3	8,769.4



ვალდებულებების კლება	59.9	59.9	0.0	59.9	59.9	0.0	59.9
ნაშთის ცვლილება	2,067.3	1,130.8	-1,190.5	2,321.3	-7,895.3	-2,971.7	-4,923.6

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 27,275.9 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	23,216.4	20,671.0	8,120.7	12,550.3	27,275.9	12,359.8	14,916.1
გადასახადები	8,240.4	10,380.9	0.0	10,380.9	13,125.0	0.0	13,125.0
გრანტები	13,428.8	8,425.6	7,879.5	546.1	12,496.8	12,278.8	218.0
სხვა შემოსავლები	1,547.2	1,864.5	241.2	1,623.3	1,654.1	81.0	1,571.1

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 13,125.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	8 240,4	10 380,9	0,0	10 380,9	13 125,0	0,0	13 125,0
საშემოსავლო გადასახადი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ქონების გადასახადი	2 871,1	3 163,5	0,0	3 163,5	3 700,0	0,0	3 700,0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 480,6	1 630,7	0,0	1 630,7	2 300,0	0,0	2 300,0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	142,1	158,1	0,0	158,1	100,0	0,0	100,0
სასოფლო-სამეურნეო							



დანიშნულების მიწაზე	76,6	142,5	0,0	142,5	75,0	0,0	75,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1 171,8	1 232,2	0,0	1 232,2	1 225,0	0,0	1 225,0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	5 369,3	7 217,4		7 217,4	9 425,0	0,0	9 425,0
სხვა გადასახადები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 12, 496.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
გრანტები	13,428.8	8,425.6	12,496.8
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	0.0	77.7	0.0
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0.0	0.0	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	13,428.8	8,347.9	12,496.8
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	3,427.0	810.5	1,020.2
გათანაბრებითი ტრანსფერი	0.0	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	1,722.0	510.5	1,020.2
ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	1,705.0	300.0	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	10,001.8	7,537.4	11,476.6
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები	7135.0	4435.3	6307.4
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2812.0	2812.0	2812.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0.0	290.1	500.0
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა	54.8	0.0	57.2
სტიქიის პრევენციის და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	0.0	0.0	1800.0

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 1 654,1 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1,547.2	1,864.5	1,654.1



შემოსავლები საკუთრებიდან	594.9	711.1	705.0
პროცენტები	174.7	322.0	335.0
რენტა	420.2	389.1	370.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	361.5	341.7	330.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	58.7	47.4	40.0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	0.0	0.0	0.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	103.4	122.5	130.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	80.4	109.1	110.0
სანებართვო მოსაკრებელი	11.4	16.3	10.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.0	0.2	0.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0.0	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	69.0	92.6	100.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	23	13.4	20.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	23.0	13.4	20.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	186.2	591.5	603.7
ტრანსფერები რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	0.0	246.2	215.4
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	662.7	193.2	0.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
 ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 14, 943.7ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	7,735.2	9,150.4	383.2	8,767.2	14,943.7	1,155.2	13,788.5
შრომის ანაზღაურება	1,777.4	1,718.5	0.0	1,718.5	3,095.2	0.0	3,095.2
საქონელი და მომსახურება	1,616.6	2,475.0	383.0	2,092.0	4,051.2	734.3	3,316.9
პროცენტი	38.7	31.0	0.0	31.0	29.6	0.0	29.6
სუბსიდიები	3,481.0	4,027.6	0.0	4,027.6	6,011.3	0.0	6,011.3
გრანტები	38.9	35.0	0.0	35.0	35.0	0.0	35.0



სოციალური უზრუნველყოფა	536.4	634.3	0.0	634.3	793.6	0.0	793.6
სხვა ხარჯები	246.2	229.0	0.2	228.8	927.8	420.9	506.9

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს – 20 167,6 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა – 22945,7 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება – 2 778,1 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2020 წლის	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
		ფაქტი		
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	31.1	115.0	462.5
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	31.1	115.0	462.5
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	9540.6	8704.0	21147.4
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება და ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	2315.2	1348.1	5341.4
02 01 01	გზების მშენებლობა - რეკონსტრუქცია	2315.2	1348.1	5341.4
02 02	გარე განათება	221.9	40.6	3.3
02 02 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	0.0	1.9	1.7
02 02 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	221.9	38.7	1.6
02 03	წყლის სისტემების განვითარება	1055.5	2253.7	4909.7
02 03 01	სასმელი წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	803.4	1782.7	4571.2
02 03 02	ა(ა)იპ "დუშეთის წყლის ხელშეწყობა"	6.0	20.1	30.0
02 03 03	სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია	246.1	450.9	308.5
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	2594.2	3110.0	4552.7
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2422.2	1538.2	3796.9
02 06 01	სპორტული მოედნების და დარბაზების მოწყობა-რეაბილიტაცია	1485.0	1080.8	3528.7
02 06 02	ზაღების, სკვერების, სავაჭრო პავილიონების, სარიტუალო დარბაზების, კულტურული ობიექტების, ამბულატორიების, სასწრაფო სამედიცინო დახმარების და საგანგებო სიტუაციების ცენტრების მოწყობა-რეაბილიტაცია	934.2	455.3	261.7
02 06 03	ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის" ხელშეწყობა	3.0	2.1	6.5
02 07	სტიქიის პრევენციისა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	522.7	58.9	1884.0
02 08	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯები	408.9	354.5	659.4
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	0.0	3.4	0.0



03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	0.0	0.0	0.0
03 02	ს(ა)იპ "არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის" ხელშეწყობა	0.0	3.4	0.0
04 00	განათლება	4177.5	2161.9	1323.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	6.8	50.7	37.8
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	2235.7	1242.9	586.2
04 03	საჯარო სკოლების ხელშეწყობა	1935.0	868.3	699.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	16.1	14.3	11.3
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	6.2	0.0	5.3
05 01 02	სასპორტო გაერთიანების ხელშეწყობა	6.2	0.0	5.3
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	6.9	14.3	6.0
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	0	0.0	0.0
05 02 03	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	5.7	5.9	4.5
05 02 05	კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	1.2	0.1	1.5
05 02 06	კულტურის სახლების დაფინანსება	0.0	2.4	0.0
05 02 09	დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების ცენტრის დაფინანსება	0.0	5.9	0.0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	3.0	0.0	0.0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1.9	6.6	1.5
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	1.9	6.0	1.5
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.6	0.0
06 02 06	უფასო სასაბინო დაფინანსება	0.0	0.6	0.0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	13767.2	11005.2	22945.7

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	413.2	617.9	2,778.1
ძირითადი აქტივები	172.3	0.0	410.1
მატერიალური მარაგები	0.0	0.0	0.0
არაწარმოებული აქტივები	240.9	617.9	2,368.0
მიწა	240.9	617.9	2368.0
სხვა ბუნებრივი აქტივები	0.0	0.0	0.0



მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
 განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი		2021 წლის ფაქტი		2022 წლის გეგმა		
		სულ	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,680.3	3,051.4	0.0	3,051.4	4,987.1	0.0	4,987.1
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,641.6	3,020.4	0.0	3,020.4	4,884.3	0.0	4,884.3
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,641.6	3,020.4	0.0	3,020.4	4,884.3	0.0	4,884.3
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	38.7	31.0	0.0	31.0	102.8	0.0	102.8
70133	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	38.7	31.0	0.0	31.0	102.8	0.0	102.8
704	ეკონომიკური საქმიანობა	8,832.4	7,544.1	5,455.1	2,089.0	18,353.5	10,643.5	7,710.0
7045	ტრანსპორტი	2,376.0	1,751.3	961.9	789.4	6,640.9	2,232.7	4,408.2
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,376.0	1,751.3	961.9	789.4	6,640.9	2,232.7	4,408.2
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	6,456.4	5,792.8	4,493.2	1,299.6	11,712.6	8,410.8	3,301.8
705	გარემოს დაცვა	556.2	695.8	0.0	695.8	929.3	0.0	929.3
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	556.2	648.3	0.0	648.3	825.4	0.0	825.4
7054	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	0.0	47.5	0.0	47.5	103.9	0.0	103.9
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1,616.3	2,655.7	1,504.5	1,151.2	5,649.6	2,966.6	2,683.0
7063	წყალმომარაგება	976.6	1,993.2	1,504.5	488.7	4,872.2	2,966.6	1,905.6
7064	გარე განათება	639.7	662.5	0.0	662.5	777.4	0.0	777.4
707	ჯანმრთელობის დაცვა	76.5	102.5	0.0	102.5	115.2	0.0	115.2
7072	ამბულატორიული მომსახურება	8.0	8.0	0.0	8.0	9.0	0.0	9.0



70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	8.0	8.0	0.0	8.0	9.0	0.0	9.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	68.5	94.5	0.0	94.5	106.2	0.0	106.2
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	977.1	1,050.9	0.0	1,050.9	1,812.4	0.0	1,812.4
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	372.0	384.3	0.0	384.3	589.0	0.0	589.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	593.2	604.6	0.0	604.6	1,089.4	0.0	1,089.4
7083	ტელერადიომუწეობა და საგამომცემლო საქმიანობა	1.5	2.4	0.0	2.4	4.0	0.0	4.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	10.4	59.6	0.0	59.6	130.0	0.0	130.0
709	განათლება	5,634.5	3,974.3	2,351.4	1,622.9	4,198.4	1,559.2	2,639.2
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,185.6	1,480.8	0.0	1,480.8	2,182.3	0.0	2,182.3
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	4,448.9	2,493.5	2,351.4	142.1	2,016.1	1,559.2	456.9
710	სოციალური დაცვა	1,129.1	1,080.9	0.2	1,080.7	1,843.9	162.2	1,681.7
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	120.6	132.9	0.0	132.9	166.2	0.0	166.2
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	629.9	591.4	0.2	591.2	956.7	162.2	794.5
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	11.0	9.7	0.0	9.7	13.0	0.0	13.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	367.6	346.9	0.0	346.9	708.0	0.0	708.0
	სულ	21,502.4	20,155.6	9,311.2	10,844.4	37,889.4	15,331.5	22,557.9

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს (-7835,4) ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 12 332,2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	15481,2	11520,6	12332,2
მთლიანი სალდო	2127,2	1133,3	-7835,4



მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს (-7 895,3) ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	2067,3	1073,4	-7895,3
ზრდა	2067,3	2321,3	0,0
ვალუტა და დეპოზიტი	2067,3	2321,3	0,0
კლება	0,0	1247,9	7895,3
ვალუტა და დეპოზიტი	0,0	1190,5	7895,3
აქციები და კაპიტალი	0,0	57,4	0,0

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია, სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს და დუშეთის მუნიციპალიტეტს შორის „საქართველოში მყარი ნარჩენების პროექტთან“ დაკავშირებით 2017 წლის 24 თებერვალს გაფორმებული პროექტის ქონების გადაცემის შესახებ სასესიო ხელშეკრულება, დუშეთის მუნიციპალიტეტისათვის 2 (ორი) ცალი კომპაქტორიან ნაგავშიდი მანქანის და 165 (ასსამოცდახუთ) ცალი ნარჩენების კონტეინერის გადაცემის შესახებ.

სესიის ძირითადი თანხა შეადგენს 419,1 ათას ლარს, საიდანაც 2019 წელს გადახდილია 29,9 ათასი ლარი, 2020 წელს – 59,9 ათასი ლარი, 2021 წელს – 59,9 ათასი ლარი. სულ ჯამში 149,7 ათასი ლარი. 2022 წლის 1 იანვრისათვის გადასახდელი ძირითადი თანხა რჩება 269,4 ათასი ლარი, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 209,5 ათასი ლარი.

თავი II

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

პრიორიტეტის – „ინფრასტრუქტურის განვითარება“ დაფინანსებისათვის განისაზღვროს 24 003,1 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	24003.1
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	6640.9
02 01 01	გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია	5604.2
02 01 02	საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა	1036.7
02 01 03	საჰაერო ტრანსპორტის მომსახურება	0.0
02 02	გარე განათება	777.4
02 02 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	277.4



02 02 02	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	500.0
02 03	წყლის სისტემების განვითარება	5190.8
02 03 01	სასმელი წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4571.2
02 03 02	ა(ა)იპ „დუშეთის წყლის ხელშეწყობა“	301.0
02 03 03	სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია	318.6
02 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	4556.1
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	4184.2
02 06 01	სპორტული მოედნების და დარბაზების მოწყობა-რეაბილიტაცია	3528.7
02 06 02	ბაღების, სკვერების, სავაჭრო პავილიონების, სარიტუალო დარბაზების, კულტურული ობიექტების, ამბულატორიების, სასწრაფო სამედიცინო დახმარების და საგანგებო სიტუაციების ცენტრების მოწყობა-რეაბილიტაცია	273.7
02 06 03	ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის" ხელშეწყობა	381.8
02 07	სტიქიის პრევენციისა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	1978.1
02 08	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯები	675.6

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	დაფინანსება ათას ლარში
	02 01		6640,9
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია სხვადასხვა დასახლებებთან, მათ შორის საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია. ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა.		
მოსალოდნელი შედეგი	საგზაო ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება, ტრანსპორტის და მოსახლეობის შეუფერხებელი გადაადგილება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მშენებლობა - რეკონსტრუქცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		5604,2



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>გზების დიდი ნაწილი რთული რელიეფის და კლიმატური პირობების გამო მუდმივად საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ქვეპროგრამის ფარგლებში დუშეთის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა - რეაბილიტაცია, როგორც გზების საფარის, ასევე ხიდებისა და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია.</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: სოფელი აბანოსხევი-დავათის (ლაფანანთკარი) გზის მონაკვეთის მოასფალტება, ქ. დუშეთში, მწითურის ქუჩის ბოლო მონაკვეთის მოასფალტება, ქ. დუშეთი, კობიანთ დასახლებაში შიდა გზების რეაბილიტაცია, ქ. დუშეთში, რუსთაველის ქუჩის ჩიხის მოასფალტება, ქ. დუშეთში, მილახვიანთ დასახლებაში გზის რეაბილიტაცია, სოფელ ბაზალეთთან არსებული დევნილთა დასახლებისკენ მისასვლელი გზის და ეზოების მოასფალტება, ჭონქაძის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლების დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (ე.წ. "ჯორმუხის გზის" მიმართულებით), ქვეშეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ყველაწიში მისასვლელი ხიდის მოწყობა, ქ. დუშეთში, საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია მდ. დუშეთის ხეზე (შ. არაგვისპირელი ქუჩის კუთხეში), მადაროსკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ქალილოში დაკიდებული საცალფეხო ხიდის რეაბილიტაცია, ფასანაურის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. წინკობანში მდ. არაგვზე საფეხმავლო შეკიდული ხიდის რეაბილიტაცია, დაბა ფასანაურში, ნადიბაძის ქუჩის რეაბილიტაცია, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსათავსებლად ზოგადი ხედვის, ე.წ. „ჭკვიანი“ კამერების, მანიშნებელი და გამაფრთხილებელი აზრების შესყიდვა, მჭადიჯვარი-მალისის საავტომობილო გზის შეკეთება, ბაზალეთის ტბასთან დასახლებულ უბანში გზის რეაბილიტაცია.</p>
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება არსებული საგზაო ინფრასტრუქტურა, შეიქმნება ახალი სატრანსპორტო-ინფრასტრუქტურული ობიექტები.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა	დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		1036,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. რთული რელიეფის და კლიმატური პირობების გამო საგზაო ინფრასტრუქტურა მუდმივად საჭიროებს მიმდინარე შეკეთებას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთება. ზამთრის პერიოდში გზების თოვლის საფარისგან გაწმენდა.		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება არსებული საგზაო ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათება	დაფინანსება ათას ლარში
	02 02		777,4
პროგრამის განმახორციელებელი სამსახურები	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური. ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	დამით უსაფრთხო გადაადგილებისათვის მნიშვნელოვანია გარე განათების არსებული ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება, ახალი ქსელის მოწყობა. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას.		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილი იქნება გარე განათების ქსელის ფუნქციონირება.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		277,4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა; • ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლება, • დაზიანებული სადენების აღდგენა. 		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად უზრუნველყოფილი იქნება გარე-განათების არსებულ ქსელზე ნათურების შეცვლა, შეკეთდება დაზიანებული და ამორტიზებული განათების ბოძები ან ჩანაცვლება ახლით. ასევე მოხდება დაზიანებული სადენების აღდგენა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		500,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერჯის ანაზღაურებას.		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად უზრუნველყოფილი იქნება გარე განათების არსებული ქსელის ელექტროენერჯით მომარაგების საფასურის გადახდა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემების განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	02 03		5190,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახურები	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური. ა(ა)იპ „დუშეთის წყალი“		
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში.		



და მიზანი	პროგრამის მიზანია: - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს სასმელი წყლის მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს სასმელ წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.		
მოსალოდნელი შედეგი	გამართული წყალმომარაგების სისტემები. მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასმელი წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 01		4571,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული დასახლებული პუნქტების წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა და რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: ჭონქამის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ არაგვისპირში სასმელი წყლის სისტემის ახალი ქსელის მოწყობა, ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ბაზალეთში წყალმომარაგების რეზერვუარის და ქსელის მოწყობის და სოფელ საკრამულში სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები, გრემისხევის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ პეტრიაანის წყლის ჭაბურღილისა და სასმელი წყლის ქსელის მოწყობა, ჭონქამის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფ. ახალ ტონჩაში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა, სოფ.ჯავახიანთკარში სასმელი წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია.		
მოსალოდნელი შედეგი	განვითარდება წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა და მუნიციპალიტეტის ზემოაღნიშნული დასახლებების მაცხოვრებლები უზრუნველყოფილი იქნებიან სასმელი წყლის მიწოდებით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ "დუშეთის წყლის" ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 02		301,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „დუშეთის წყალი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია, დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი დასახლებების წყალმომარაგება. წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების მოვლა-პატრონობა და შეკეთება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დასახლებაში არსებული წყალმომარაგების სისტემების გამართული ფუნქციონირება და განვითარება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა - რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 03 03		318,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		



		ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სარწყავი სისტემის, სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და საჭიროების მიხედვით ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება.
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: ქ.დუშეთში, ბაჩანას ქუჩიდან აღმაშენებლის ქუჩამდე სანიაღვრე არხის მოწყობა, სოფელ ჭართალში სანიაღვრე არხის მოწყობა, ჭონქაძის ა.ე. სოფ. ახალი ტონჩაში - სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია (მილების მონტაჟით), სოფ. არაგვისპირი მდ. ფოტეს კალაპოტის გაწმენდა - დაღრმავება ყრილების მოწყობით, დუშეთი - მთვარელიანთკარი. სანიაღვრე მილების მონტაჟი (საავტომობილო ხიდის (ავტოსადგურთან) მიმდებარედ), ქ.დუშეთში არაგვისპირელის ქუჩაზე რ/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა, სულიკიანთ დასახლებაში გზის გასწვრივ სანიაღვრე არხის მოწყობა., სოფ. ანანურში სანიაღვრე ღარის მოწყობა, სოფ. მჭადიჯვარში ეკლესიის მიმდებარედ არსებული სანიაღვრე ღარის შეცვლა.
მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დასახლებაში არსებული სარწყავი სისტემის, სანიაღვრე არხების გამართულად ფუნქციონირება.

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	დაფინანსება ათას ლარში
	02 05		4556,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიასივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური	
პროგრამის აღწერა და მიზანი		სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გამოყოფილი თანხის ფარგლებში დუშეთის მუნიციპალიტეტის 17 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლებში, დაგეგმილია ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია, კეთილმოწყობა.	
მოსალოდნელი შედეგი		პროგრამის განხორციელების შედეგად მოსალოდნელია მუნიციპალიტეტის სოფლების ინფრასტრუქტურული და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება.	

პროგრამის დასახელება	კოდი	კეთილმოწყობის ღონისძიებები	დაფინანსება ათას ლარში
	02 06		4184,2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახურები		სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური. ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"	
პროგრამის აღწერა და მიზანი		პროგრამა ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბაღების, სკვერების, სასაფლაოების მოვლა-პატრონობას და სხვადასხვა კეთილმოწყობით ღონისძიებებს.	
მოსალოდნელი შედეგი		კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტის ტერიტორია.	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული მოედნების და დარბაზების მოწყობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 06 01		3528,7
პროგრამის განმახორციელებელი		სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური	



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: ქ. დუშეთში, აღმაშენებლის ქუჩაზე სპორტკომპლექსის მშენებლობა, ბაზალეთის ა/ე ში სოფ. ჩანადირთკარში მინი სტადიონის რეაბილიტაცია, დაბა ჟინვალში მინი სტადიონის რეაბილიტაცია, ქ. დუშეთში გ. ჩოხელის ქუჩაზე მდებარე სპორტული მოედნის შემოღობვის სამუშაოები, ქ. დუშეთი. კარიაულთ დასახლებაში მინი სტადიონის მოწყობა, დაბა ფასანაურის სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, ინვენტარის შესყიდვა, ბაზალეთის ნიჩბოსნობის ბაზის შემოღობვა, დაბა ჟინვალის სპორტული დარბაზის გათბობის სისტემის მოწყობა, სოფ. ოძისში მინი სპორტული მოედნის მოწყობა.
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესდება არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სპორტის განვითარებას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბაღების, სკვერების, სავაჭრო პავილიონების, სარიტუალო დარბაზების, კულტურული ობიექტების, ამბულატორიების, სასწრაფო სამედიცინო დახმარების და საგანგებო სიტუაციების ცენტრების მოწყობა-რეაბილიტაცია	დაფინანსება ათას ლარში
	02 06 02		273,7
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: მადაროკარის, ბულაჩაურის, ლაფანანთკარის სამედიცინო ამბულატორიების მშენებლობა და ეზოების კეთილმოწყობა, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების გადაბეღვის და მოჭრის სამუშაოები.		
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად მოსალოდნელია არსებული სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების და ჯანდაცვის სერვისების გაუმჯობესება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის" ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	02 06 03		381,8
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის აპარატის ხარჯების დაფინანსება. განხორციელდება სკვერების, ბაღების, სასაფლაოების, მოვლა-პატრონობის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიის სხვადასხვა კეთილმოწყობითი ღონისძიებები.		
მოსალოდნელი შედეგი	კეთილმოწყობილი მუნიციპალიტეტის ტერიტორია.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის პრევენციისა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	02 07		1978,1
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სტიქიის პრევენციის ღონისძიებების, სტიქიის შედეგად დაზიანებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, სასმელი წყლის სათავე ნაგებობების, სანიაღვრე არხების (მათ შორის, წყალგამტარი მილები), ბოგირების, გაბიონების, ბეტონის საყრდენი კედლების, ნაპირსამაგრი ნაგებობების და სხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენითი სამუშაოებისა და მათთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა. ქ. დუშეთში კობიანთ		



	დასახლებაში სტიქიის შედეგად დაზიანებული გზების ასფალტისა და ბეტონის საფარის მოწყობისა და რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება სტიქიისაგან დამცავი მუნიციპალური ინფრასტრუქტურა, შემცირდება სტიქიით მიყენებული ზარალის საფრთხე, განხორციელდება დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაცია.

პროგრამის დასახელება	კოდი	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯები	დაფინანსება ათას ლარში
	02 08		675,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საფუძველს, მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების გათვალისწინებით, შესაბამისი საპროექტო – სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. საპროექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციის მოსამზადებლად მთელ რიგ შემთხვევებში საჭიროა წინასაპროექტო კვლევების მათ შორის საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შესყიდვა. ამასთან აუცილებელია სამშენებლო – სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო – სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.		
მოსალოდნელი შედეგი	ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადდება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები იქნება მაღალი ხარისხის, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნარმებს (სტანდარტებს).		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 929,3 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	929,3
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	825,4
03 02	ა(ა)იპ "არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის" ხელშეწყობა	103,9

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	დაფინანსება ათას ლარში
	03 01		825,4
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური"		
პროგრამის აღწერა და მიზანი	დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ "დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური" ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, ქალაქის და მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიების დაგვა-დასუფთავებას.		



მოსალოდნელი შედეგი	მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება დასუფთავება და ნარჩენების გატანა; დასუფთავდება ქალაქი დუშეთი და მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიები.
--------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	ა(ა)იპ „არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის“ ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	03 02		103,9
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>არაგვის დაცული ლანდშაფტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მოიცავს მდინარეების – გუდამაყრის არაგვის, ფშავის არაგვისა და ხევსურეთის არაგვის – ხეობებს. მისი საერთო ფართობი 99 802 ჰექტარს შეადგენს. არაგვის დაცული ლანდშაფტი შეიქმნა ეროვნული მნიშვნელობისა და დიდი ესთეტიკური ღირებულების მქონე ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, რომელიც ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთობის შედეგად არის ჩამოყალიბებული; ასევე, ამ ტერიტორიაზე რეკრეაციული, ტურისტული და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების განსახორციელებლად, რათა გარემოსდაცვით საკითხებთან ერთად, დაცული იქნას ადგილობრივი თემების სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები.</p> <p>პროგრამის მიზნებია: ბიოლოგიური მრავალფეროვნებით, ისტორიით და კულტურით გამორჩეული ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების-გუდამაყრის, ფშავის და პირაქეთა ხევსურეთის-მდინარეთა ხეობების ტერიტორიების დაცვის, აღდგენის და გონივრული გამოყენების ხელშეწყობა, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების, განსაკუთრებით გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეებისა და ცხოველების გენეტიკური და სახეობრივი მრავალფეროვნების დაცვა და აღდგენა, მიწის, წყლისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და რაციონალური გამოყენება, გარემოსდაცვითი განათლებისა და მეცნიერული კვლევებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული და კულტურის ძეგლებისა და განაშენიანების ტიპის დაცვა და შენარჩუნება, რეკრეაციის, ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის ხელშეწყობა.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	„არაგვის დაცული ლანდშაფტის შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელება, კანონით განსაზღვრული მიზნების და ამოცანების მისაღწევად.		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4198,4 ათასი ლარი. განათლების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
04 00	განათლება	4198.4
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2182.3
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	586.2
04 03	საჯარო სკოლების ხელშეწყობა	1429.9



პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	ლარში
	04 01		2182,3
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	<p>საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება.</p> <p>შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება.</p> <p>დუშეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მიერთად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს.</p> <p>დღეის მდგომარეობით დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 18 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 600-ზე მეტი აღსაზრდელი.</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები;</p> <p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის #485 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;</p> <p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის #487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან;</p> <p>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; სააღმზრდელო დაწესებულებებში და ა(ა)იპ - სკოლამდელი აღზრდის ცენტრში დასაქმებული ადმინისტრაციული და სააღმზრდელო პერსონალი უზრუნველყოფილი იქნება სამუშაო პირობებით.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 02		586,2
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახური.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკოლამდელი დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ფილიალებში საქვაბეების მოწყობა (პირმისაანთკარის, ბაზალეთის, ბულაჩაურის, ჭოპორტის, არაგვისპირის და ანაწურის ფილიალები), დუშეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ფილიალებში გარე ელ. მომარაგების სისტემის რეაბილიტაცია.		



მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში არსებული პირობები
--------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	საჯარო სკოლების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	04 03		1429,9
პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, არქიტექტურისა და მშენებლობის და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურები.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დუშეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები და საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურება.		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესდება ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა.		

მუხლი 16. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

„კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტის“ პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1812,4 ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	1812.4
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	589.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	45.8
05 01 02	სასპორტო გაერთიანების ხელშეწყობა	543.2
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1093.4
05 02 01	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	290.0
05 02 02	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა	68.6
05 02 03	ბიბლიოთეკების ხელშეწყობა	202.8
05 02 04	მუზეუმების ხელშეწყობა	35.0
05 02 05	კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	91.7
05 02 06	კულტურის სახლების დაფინანსება	251.5
05 02 07	ტელემაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსება	4.0
05 02 08	მუსიკალური კოლექტივების ხელშეწყობა	68.8
05 02 09	ა(ა)იპ"დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის განვითარების ცენტრის" დაფინანსება	81.0



05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	15.0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება	115.0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01		589,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახურები	დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და წარმატებული სპორტსმენების და მათი მწვრთნელების წახალისება. 2022 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. ჩატარდება მუნიციპალური, რეგიონული, საერთაშორისო და რესპუბლიკური ტურნირები ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში, უმცროს ასაკში, ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში, ასევე რეგიონული და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში, ფრენბურთში, ნიჩბოსნობაში, კრივში, კარატეში და სპორტის სხვა სახეობაში.		
მოსალოდნელი შედეგი	მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა. ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია. სასპორტო განათლების სისტემის განვითარება, ბავშვთა და ახალგაზრდობის ჯანმრთელობისა და ჰარმონიული განვითარების, ფიზიკური აღზრდის, ერთიანი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება, „ვირტუალურ სამყაროში“ ცხოვრებისაკენ მიდრეკილების, ნარკომანიისა და ალკოჰოლიზმისადმი ლტოლვის დამლევვა, ცხოვრების „უმძავე წესის“ ჩანაცვლება ფიზიკურად აქტიური ცხოვრებით. მწვრთნელ-მასწავლებელთა და სპორტსმენთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		45,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიების, ტურნირის, შეჯიბრების ორგანიზება, ხელშეწყობა და დაფინანსება.		
მოსალოდნელი შედეგი	მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის საშეჯიბრო სისტემის განვითარება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სასპორტო გაერთიანების ხელშეწყობა	დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		543,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების“ დაფინანსებას და შესაბამისად სპორტის სხვადასხვა წრის (ფეხბურთი, ჭიდაობა, კალათბურთი, ჯადრაკი, ფრენბურთი, ნიჩბოსნობა, კრივი, კარატე, ტანვარჯიში, ძალოსნობა, მძლეოსნობა, რაგბი) შეუფერხებელ ფუნქციონირებას მთელი წლის განმავლობაში.
მოსალოდნელი შედეგი	„დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება“ მთელი წლის მანძილზე ფუნქციონირებს შეუფერხებლად; ყველა მსურველის შესაძლებლობა ექნება ჩაებას სხვადასხვა სპორტულ აქტივობაში. განვითარდება სასპორტო განათლების სისტემა. ხელი შეეწყობა ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას.

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	დაფინანსება ათას ლარში
	05 02		1093,4
